ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 114

2 აპრილი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების №00001 და №00002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 31 მარტის №21.418.473 განკარგულებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 31 მარტის №21.418.473 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 აპრილის №21.419.480 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმების საფუძველზე გაცემული, ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების №000001 და №000002 ნებართვების მოქმედების 2021 წლის 30 ივნისამდე გაგრძელების თაობაზე, ნებართვების სხვა პირობების უცვლელად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაშიში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე